სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილების დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილების (შემდგომში - განყოფილება) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილება წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს.

3. განყოფილება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, აკადემიის მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

4. განყოფილება ანგარიშვალდებულია აკადემიის მეთაურის და მეთაურის პირველი მოადგილის წინაშე.

მუხლი 2. სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილება ამოცანა და ძირითადი ფუნქციები

უზრუნველყოს აკადემიაში სპორტის სხვადასხვა სახეობების შესწავლა, ფიზიკური მომზადების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 3. სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილების უფროსი

სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილების სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების შესრულებაზე, ანგარიშვალდებულია აკადემიის მეთაურისა და მეთაურის პირველი მოადგილის წინაშე.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.